

სოციალური კაპიტალი, პოლიტიკური ჩართულობა და მედია:
პოლიტიკურად რელევანტური სოციალური კაპიტალი

ანა ენდელაძე

*ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და
ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომის წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ენდელაძე.

27.06.2016

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს სოციალური კაპიტალის გამომწვევი ფაქტორების განსაზღვრას და მის გავლენას პოლიტიკურად რელევანტური სოციალური კაპიტალის განვითარებაზე. კვლევა ეფუძნება მითითებულ თემაზე არსებული სამეცნიერო ნაშრომების ანალიტიკურ შესწავლას, დამატებით თვისობრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდის, სტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით თემატურად განსხვავებულ ორგანიზაციებში ინტერვიუს ჩატარება, კონკრეტულად იტალიაში მოქმედი ოთხი ასოციაციის წევრების გამოკითხვა.

ქვეყანაში მაღალი სოციალური კაპიტალის მაჩვენებელი ხელს უწყობს სახელმწიფოს ეფექტურ ფუნქციონირებას და ქმნის ეფექტურ სამოქალაქო საზოგადოებას, სადაც იზრდება ერთმანეთის მიმართ ნდობა, თანაზიარობის შეგრძნება, პრობლემების მიმართ კოლექტიური გადაჭრის და ქმედების სურვილი. მსგავსი გაერთიანებები გამოირჩევიან მაღალი პოლიტიკური ჩართულობით. რეგულარული კომუნიკაციითა და პოლიტიკურ თემებზე დისკუსიის შედეგად ვითარდება პოლიტიკურად რელევანტური სოციალური კაპიტალი. კვლევამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის წევრები, რომელთაც აქვთ რეგულარული კომუნიკაცია, ხშირად განიხილავენ ერთმანეთში პოლიტიკურ საკითხებს არიან პოლიტიკურად აქტიურები. რიგ შემთხვევებში ორგანიზაციის შექმნის მოტივიც პოლიტიკურ გარემოს უკავშირდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური კაპიტალი, პოლიტიკური ჩართულობა,

პოლიტიკური მონაწილეობა, პოლიტიკურად რელევანტური სოციალური კაპიტალი, მედია.

Abstract

The Social Capital became significant component to measure democracy in the modern research development. As empirical evidences show, social capital supports the effective functioning of the State. The following research defines the causal factors of social capital and its impact on the improvement of the political relevant social capital.

The research was conducted by the analytical acquisition of the scientific articles, in addition with qualitative research methodology, (structured interview). The four associations were interviewed in Italy.

The high level of social capital produces the effective civil society, forces the reciprocity and trust between the members of society, magnifies the desire of collective action to solve common problems. The associations with powerful social capital are more likely to be engaged in politics. The regular communication and discussion of the political issues produce and enforce the politically relevant social capital.

The research illustrates that the members of four different organizations form the politically relevant social capital by discussing frequently political issuea with each other. In most of the cases the motive of establishment of this type of organization is political activeness.

Key words: social capital, political engagement, political participation, politically relevant social capital, media.

მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადება წარმოუდგენელი იქნებოდა ჩემი პროფესორების და მეგობრების მხარდაჭერის გარეშე. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც დამეხმარა კვლევის ჩატარების პროცესში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს ასოცირებულ-პროფესორს, ნინო ფავლენიშვილს. მან საკუთარი რჩევებით და ინსტრუქციებით მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია კვლევის ყველა ეტაპზე. ასევე, მინდა მადლობა ვუთხრა, ჰარმას უნივერსიტეტში სტაჟირების დროს, ჩემი საქმიანობის ხელმძღვანელს, ჰარმას უნივერსიტეტის პროფესორ, მარკო დერიუს, რომელმაც გამიწია რეკომენდაცია იმ ორგანიზაციის წევრებთან, რომელთა გამოკითხვა ჩავატარე. ის დამეხმარა მიმელო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობა, რაც დამეხმარა კვლევისთვის დამატებითი ინფორმაციის აკუმულირებაში.